საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-219

2019 წლის 6 მარტი

ქ. თბილისი

ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის უწყებრივი სანებართვო რეესტრის ფორმის დამტკიცების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „7^2“ პუნქტის, 29-ე და 36-ე მუხლების და „ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის და წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილებიით დამტკიცებული რეგლამენტის მე-9 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის უწყებრივი სანებართვო რეესტრის ფორმა.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი — **ლევან დავითაშვილი**

ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის უწყებრივი სანებართვო რეესტრის ფორმა

№	პროცედურა (ნებართვის გაცემა/ ცვლილება/ გაუქმება/ დუბლიკატის გაცემა)	ნებართვის სახე	სანებართვო მოწმობის ნომერი	ნებართვის გაცემის თარიღი	ნივთიერების დასახელება	ნებართვით განსაზღვრული იმპორტის რაოდენობა (ტ)	ნებართვის გამცემი უფლებამოსილი პირი	მონაცემები ნებართვის მფლობელის შესახებ					ინფორმაცია ნებართვის მფლობელის საფირმო სახელწოდების (სახელის, გვარის), მისამართის შეცვლის ან რეორგანიზაციის შესახებ	ნებართვის მიმღების ხელმოწერა	შენიშვნა
								დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი	იურიდიული მისამართი	ფაქტობრივი მისამართი	საკონტაქტო ინფორმაცია			